ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტს შორის

ქ. თბილისი ...2 მაისი..., 2018 წელი

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში – უნივერსიტეტი), წარმოდგენილი მისი რექტორის, გიგა ზედანიას, სახით და სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი (შემდგომში – ინსტიტუტი) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ნიკოლოზ ჩიხრაძის, სახით, ხელმძღვანელობენ რა თავიანთი ორგანიზაციების დებულებით/წესდებით და ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

1.1 წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების, ლექციათ-სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების, მასტერ-კლასების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების, აგრეთვე სხვა სასწავლო-პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების განხორციელებას მოქმედი კანონმდებლობისა და ამ მემორანდუმით დადგენილი პირობების შესაბამისად მხარეთა ინტერესების სფეროში.

2. ზოგადი დებულებები

2.1 მხარეები თანხმდებიან, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ითანამშრომლონ შემდეგი მიმართულებებით:

2.1.1 ერთობლივი კვლევებისა და პუბლიკაციების მომზადება საერთო ინტერესების სფეროში;

2.1.2 სამთო მიმართულებით სასწავლო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის/ების განხორციელება და განვითარება;

2.1.3 სასწავლო-კვლევითი პროგრამის/ების მხარდაჭერა საკვლევ-ლაბორატორიული ბაზებითა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურით;

2.1.4 შესაძლებლობის შემთხვევაში:

2.1.4.1 სადოქტორო საფეხურის სტუდენტების ერთობლივი ხელმძღვანელობა;

2.1.4.2 ერთობლივი სადისერტაციო საბჭოს შექმნა;

2.1.4.3 სადისერტაციო ნაშრომების რეცენზირება.

2.1.5 თანამშრომლობა კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმებისა და სხვა აკადემიური აქტივობის ორგანიზებაში;

2.1.6 ინფორმაციის გაცვლა კონფერენციების, სეზონური სკოლების, სამეცნიერო მიღწევებისა და სხვა შესაბამისი აქტივობების შესახებ, რომლებიც განხორციელდება მხარეების მიერ;

2.2 ორივე მხარის მიერ შეთანხმებული დამატებითი თანამშრომლობის აქტივობების ხელშეწყობა.

3. ფინანსური პირობები

3.1 არანაირი ფინანსური ვალდებულება არ წარმოიშობა მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში;

3.2 ფინანსური დეტალები თითოეული საქმიანობისთვის ან პროექტის/პროექტებისთვის განცალკევებულად და სპეციფიკურად განსაზღვრული იქნება უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი ცალკე ხელშეკრულებების სახით;

3.3 თითოეული მხარე ეცდება სხვადასხვა წყაროდან დაფინანსების მოპოვებას ერთობლივი თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის.

4. შეთანხმების მოქმედების ვადა

4.1 შეთანხმება ძალაში შედის ორივე მხარის ოფიციალური წარმომადგენლის ხელმოწერისთანავე;

4.2 შეთანხმება მოქმედებს მხარეთა ხელმოწერის დღიდან უვადოდ, ან მანამდე, სანამ ერთ-ერთი მხარე არ გადაწყვეტს მემორანდუმით განსაზღვრული ურთიერთობის შეწყვეტას ქვემოთ მოყვანილი წესით.

5. მემორანდუმში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტის წესი

5.1 მხარეებს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე უფლება აქვთ, შეთანხმებაში შეიტანონ ცვლილებები ან შეწყვიტონ ის. ყოველ მხარეს აქვს უფლება, შეწყვიტოს შეთანხმება, რის თაობაზეც ერთი თვით ადრე უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს;

5.2 შეთანხმების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით, იმავე წესით, როგორც გაფორმებულია ძირითადი შეთანხმება. დაუშვებელია შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე.

6. დასკვნითი დებულებები

6.1 წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

7. კონფიდენციალურობა

7.1 მხარეები თანახმანი არიან, მემორანდუმის დადებისა და შესრულების პერიოდში ერთმანეთისთვის გადაცემული და გადასაცემი მთელი ინფორმაცია მიიჩნიონ კონფიდენციალურ ინფორმაციად (ხოლო კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში – კომერციულ საიდუმლოდ) და ვალდებულებას იღებენ, არანაირი სახით არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გახადონ ის ხელმისაწვდომი მესამე პირისათვის, გარდა წერილობით გაფორმებული შეთანხმებისა და/ან კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

7.2 მხარეები იღებენ ვალდებულებას, მთლიანად აანაზღაურონ მეორე მხარისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურებით გამოწვეული ზიანი.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მის.: ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5

ქ. თბილისი 0162, საქართველო

ტელ.: (+995 32) 22 00 09

ფაქსი: (995 32) 231 026; 220 009

ელფოსტა: uni@iliauni.edu.ge

ვებგვერდი: www.iliauni.edu.ge

რექტორი

გიგა ზედანია

სსიპ – გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი"

მის.:ე. მინდელის ქუჩა №7

ქ. თბილისი 0186, საქართველო

ტელ.: (+995 32) 232 47 16

ფაქსი: (+995 32) 232 59 90

ელფოსტა: tmi@mining.org.ge

ვებგვერდი: www.mining.org.ge

დირექტორი

ნიკოლოზ ჩიხრაძე